საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

# ბრძანება

15 06 2020 წ. №89 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტთა დაფინანსების თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2020 წლის 15 ივნისის #7 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1.დაფინანსდეს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/2) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა) **„ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“** – (პროდიუსერი შპს „სტუდია კედარი“, რეჟისორი - ირინე ჟორდანია) **– 74 000 ლარით;**

**ბ)„მცხუნვარე მზე“** – (პროდიუსერი შპს“ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი - ნინო წიქარიძე.) – **51 483 ლარით;**

**გ)„ნათლობა „იორდანეში“** - (პროდიუსერი შპს „სტუდია 99“, რეჟისორი - მიხეილ კვირიკაძე.) – **75 000 ლარით;**

**დ)„სამშობლოსთვის და სტალინისთვის“** – (პროდიუსერი ი/მ მარიამ ჯინჭარაძე, რეჟისორი - ნიკა გაბუნია. – **57 994 ლარით;**

ე)„**უხერხემლო**“ (პროდიუსერი შპს „Film Asylum”, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე.) –

70 000 ლარით;

**ვ)„ჩვენი სიყვარულის მერე“** -პროდიუსერი შპს „12“, რეჟისორი - ამირან დოლიძე-

49 000 ლარით;

ზ)„**ტოტოს უკანასკნელი დღეები**“ – პროდიუსერი შპს „ბი-აი-თი“ სტუდიო“, რეჟისორი - თორნიკე ტიკარაძე-**19 505 ლარით;**

2. ბრძანების პირველ პუქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერების მიერ ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემტოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორი გაგა ჩხეიძე